ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250175**

თარიღი:**17/01/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს 2024 წლის 27 დეკემბრის N10-12243623-12 (26.12.2024წ N1000395 3 24 01375771) საფუძველზე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'', ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ წყრუთში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი, საკადასტრო კოდით N62.07.52.054.01.501;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ანდრიაწმინდაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი, საკადასტრო კოდით N62.12.51.006.01.501;

გ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ პატარა პამაჯში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი, საკადასტრო კოდით N62.14.57.301.01.500;

დ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ დიდ პამაჯში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი, საკადასტრო კოდით N62.14.52.003.01.500;

ე) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ელიაწმინდაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი საკადასტრო კოდით N62.01.53.002.01.501;

ვ) ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ფერსაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობაში არსებული ფართი საკადასტრო კოდით N62.03.53.005.01.501;

საფუძველი - ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს 2024 წლის 27 დეკემბრის N10-12243623-12 (26.12.2024წ N1000395 3 24 01375771) მომართვა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

